

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტის **საცალო საკრედიტო რისკების განყოფილების სპეციალისტის** პოზიციაზე.

სპეციალიზებული რისკების დეპარტამენტის საცალო საკრედიტო რისკების განყოფილების ამოცანაა: საცალო საკრედიტო რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი, მონიტორინგი, შეფასება და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

#### **ფუნქცია-მოვალეობები:**

- სესხის გამცემი ორგანიზაციების საცალო საკრედიტო პორტფელის ანალიზი, პორტფელის ხარისხის შესაფასება სტატისტიკური/რაოდენობრივი მეთოდებით (მონაცემთა ბაზების დამუშავება, რეპრეზენტატიული შერჩევის მომზადება და შემდგომ შედეგების ექსტრაპოლირება პორტფელზე, სესხების მიგრაციის ანალიზი, სხვა რაოდენობრივი მოდელებით პორტფელის ხარისხის განსაზღვრა), მათ შორის, სხვადასხვა სტრეს სცენარის ეფექტის გათვალისწინებით;
- საცალო პროდუქტების საკრედიტო რისკების შეფასება სისტემურ დონეზე, ზრდისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების დინამიკის მონიტორინგი, საცალო საკრედიტო რისკების შესახებ რისკების დასკვნის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- სესხებზე საცალო საკრედიტო რისკის ანალიზის და განსაზღვრისათვის შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და დამუშავება; რისკის რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიურ ცვლილებებში მონაწილეობის მიღება;
- საცალო სესხების საკრედიტო პოლიტიკის პრუდენციული რეგულირების ნორმებთან შესაბამისობის დადგენა, საცალო საკრედიტო პროდუქტების რისკიანობის ანალიზი;
- დისტანციურ და ადგილზე შემოწმების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

#### **ძირითადი მოთხოვნები:**

- **განათლება:** უმაღლესი (სასურველია რაოდენობრივი ანალიზის, ზუსტი მეცნიერებების სპეციალიზაციით);
- **მუშაობის გამოცდილება:** სასურველია მონაცემთა დამუშავების, პორტფელური რისკების მართვის, სტატისტიკური ანალიზის მიმართულებით გამოცდილება;

- **საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მარეგულირებელი წესები და ინსტრუქციები;
- **კომპიუტერული პროგრამები:** MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად; Access, SQL, Python, R - ჩაითვლება პრიორიტეტად;
- **უცხო ენები:** ინგლისური ენა - B1; რუსული ენა - B1

#### კომპეტენციები:

- გარე ან/და შიდა მომხმარებლის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- კრიტიკული აზროვნება;
- შედეგზე ორიენტაცია;
- დამოუკიდებლად მუშაობა;
- ინოვაციების ინიცირება და მართვა;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა;
- ცოდნის მართვის და გაზიარების სისტემების დანერგვა და გამოყენება;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა.

**ანაზღაურება:** განისაზღვრება კანდიდატის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად.

#### კონკურსის ფორმა:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- წერიტი ან/და ზეპირი დავალება.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, **2020 წლის 26 მარტამდე** CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **საცალო საკრედიტო რისკების განყოფილების სპეციალისტი**.